საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 2353/10 10/02/2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბ-ნ კახაბერ ლორიას

ბატონო კახაბერ,

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები მოითხოვს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და შედეგების გამოყენებას პერსონალის მართვასა და განვითარებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, კერძოდ: დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები:

"თ) უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული რეგულაციების საფუძველზე პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის იმპლემენტაცია და შეფასებასთან დაკავშირებული სამუშაოების კოორდინაცია, სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება-დამუშავება და შედეგების მიწოდება რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის ".

"ი) პერსონალის განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში მონაწილეობა".

გთხოვთ საკითხის განხილვასა და დამტკიცებას წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

პატივისცემით,

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1 Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ./ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel./Fax
ელ.ფოსტა: chancellery@tsu.ge E-mail